

## განაცხადების მოთხოვნა (Request For Applications)

პროექტი “დამოუკიდებელი კონტენტის წარმოების გაფართოება”  
საქართველო

გამოქვეყნების თარიღი: 31/05/2023

### რეზიუმე

- 1.1 დამფინანსებელი (პირველადი დამფინანსებელი): Internews Networks (აშშ)
- 1.2 დამფინანსებლის პროექტის სახელწოდება: დამოუკიდებელი კონტენტის წარმოების გაფართოება (Expanding Production of Independent Content (EPIC))
- 1.3 განაცხადების ტიპი: საწყისი
- 1.4 RFA ნომერი: 01
- 1.5 CFDA ნომერი: 19.345
- 1.6 განაცხადის შეტანის ბოლო ვადა: 13 ივნისი, 2023

### პროგრამის მიმოხილვა

დამფინანსებელი აცხადებს მოთხოვნას საგრანტო განაცხადებზე პროექტის „დამოუკიდებელი კონტენტის წარმოების გაფართოება“ (EPIC) ფარგლებში. მედია ორგანიზაციებს, დამოუკიდებელ ჟურნალისტებს და კონტენტ მწარმოებლებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში აქტიურად განახლებადი ტრადიციული ან/და ციფრული არხებით საქართველოში შეუძლიათ განაცხადის შეტანა მედიამასალების სერიის მოსამზადებლად. პროექტი „EPIC“ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის, სანდო, საინტერესო და ინოვაციური, ფაქტებზე დაფუძნებული მულტიმედია კონტენტის წარმოებას და გავრცელებას სხვადასხვა პლატფორმებზე საქართველოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

### განაცხადის მოთხოვნით გათვალისწინებული მხარდაჭერა

შერჩეული განმცხადებლები მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას ხარჯ-ანაზღაურებადი ქვეგრანტების სახით მედიამასალების შესაქმნელად. დამფინანსებელი გეგმავს ხუთი (5) გრანტის გაცემას, 8000 აშშ დოლარამდე თითოეულ შერჩეულ განმცხადებელზე. დამფინანსებელი არ განიხილავს განაცხადს, რომლის ბიუჯეტი აღემატება 8000 აშშ დოლარს.

გრანტი გაიცემა ორ ნაწილად: თანხის 70 პროცენტი საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებისას და 30 პროცენტი პროექტის წარმატებით დასრულებისა და საბოლოო ნარატიული და ფინანსური ანგარიშების წარდგენისას.

განმცხადებელს შეუძლია დამატებითი დაფინანსების მიღება პროექტის ფარგლებში წარმოებული მედიამასალების წვდომისა და გავლენის გასაუმჯობესებლად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „*მასალების გავრცელება და პრომოცია*“.

შერჩეულ განმცხადებლებს აუნაზღაურდებათ მედიამასალების შექმნის პროცესში გაწეული ხარჯები: წარმოების ხარჯები, როგორებიცაა მგზავრობისა და განთავსების ხარჯები, წარმოების გარკვეული ასპექტებისთვის დაქირავებული პირების (მაგალითად, ვებ დეველოპერის) მომსახურების საფასური, ოფისის ქირა და პერსონალის ხელფასები გაწეული ძალისხმევის (level of effort) შესაბამისად, მიმდინარე ხარჯები გაწეულ ძალისხმევასთან შესაბამისად, კონტენტის წარმოებისთვის აუცილებელი ტექნიკა (5000 აშშ დოლარამდე), ასევე მედიამასალების წარმოებასთან დაკავშირებული სხვა გონივრული ხარჯები. გრანტით არ შეიძლება კაპიტალური ხარჯების, სესხების მომსახურების, სამშენებლო საქმიანობის დაფინანსება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თანდართული **ბიუჯეტის ფორმა**.

შერჩეული განმცხადებლების საჭიროებიდან გამომდინარე, **დამფინანსებელი** დაიქირავებს ექსპერტებს მედიამასალების წარმოებისთვის საჭირო ტექნიკური დახმარების გასაწევად, ან კონსულტაციების ან/და ტრენინგების ჩასატარებლად განმცხადებლის შესაძლებლობების გასაძლიერებლად მედიაკონტენტის წარმოების, გავრცელებისა და აუდიტორიასთან ინტერაქციის კუთხით. კონსულტაცია შეიძლება მოიცავდეს სარედაქციო, აუდიტორიის გაფართოების, ან მულტიმედიური პროდუქტების წარმოების საკითხებს. განმცხადებლებს შეუძლიათ განაცხადში მიუთითონ რა ტიპის კონსულტაცია, მენტორინგი, ტრენინგი ან სხვა დახმარება სჭირდებათ.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია კონტენტ მწარმოებლების რეგიონულ პროფესიულ ქსელში ჩართვა, მედიამასალების გაზიარების სისტემით სარგებლობა, ონლაინ და ოფლაინ ღონისძიებებში მონაწილეობა.

**დამფინანსებელს** უფლება აქვს თარგმნოს საგრანტო პროექტების ფარგლებში წარმოებული მულტიმედიური მასალები და გაავრცელოს პროექტში ჩართული სხვა ქვეყნების მედიაპარტნიორების არხებით. თუ შერჩეულ განმცხადებლებს სურთ სხვა მედიასამუალებების მიერ წარმოებული კონტენტის გამოქვეყნება, **დამფინანსებელი** მასალების თარგმნას უზრუნველყოფს.

შერჩეულ განმცხადებლებს შეუძლიათ მომდევნო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა, რომლებიც ამ საგრანტო კონკურსის შემდეგ გაიმართება ეროვნული და საერთაშორისო ჟურნალისტური პროექტების მხარდასაჭერად.

## საპროექტო განაცხადის შედგენის წესები

დამფინანსებელი მხარს დაუჭერს მედიამასალების წარმოებას საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე, რომელთაც გააჩნიათ **თემისადმი ახლებური მიდგომა/თვალთახედვის კუთხე, ინოვაციური ვიზუალური თხრობის ხერხები** და აუდიტორიის ფართო სპექტრთან, სხვადასხვა საინფორმაციო საჭიროებების მქონე ადამიანებთან წვდომის პოტენციალი. მასალები უნდა ეხებოდეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს და ადამიანურ ისტორიებს, რომლებშიც აისახება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი თემები და გამოწვევები. მედიამასალების გავრცელებით შესაძლებელი უნდა გახდეს დეზინფორმაციასთან დაპირისპირება.

### მასალების ფორმატი

განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ ჟურნალისტური მასალების ციკლის კონცეფცია, **გაერთიანებული საერთო თემით ან ერთმანეთთან დაკავშირებული თემებით**. უპირატესობა მიენიჭება კონცეფციებს, რომელთაც გააჩნიათ საგრანტო პროექტის დასრულები შემდგომ განვითარების პოტენციალი.

მასალები უნდა ეყრდნობოდეს ძლიერ ვიდეო ან/და **მულტიმედიურ თხრობას**, რათა მოიცვას აუდიტორიის ფართო სპექტრი და დააინტერესოს სხვადასხვა საინფორმაციო საჭიროებების მქონე ადამიანები.

მულტიმედიური მასალებში შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ფორმატები, მათ შორის: ვიდეო, ფოტო, ანიმაცია, ინფოგრაფიკის ფართო სპექტრი, გრაფიკა, აუდიო, ინტერაქტიული ხერხები ან თუნდაც გეიმიფიკაცია. მედიამასალების ციკლის ფარგლებში მისაღებია სხვადასხვა ფორმატების გამოყენება მედიამომხმარებლის ჩართულობის და მასალების წვდომის გასაფართოებლად.

ციკლის ცალკეული მედიამასალები შეიძლება წარმოადგენდნენ ვიდეოს (stand-alone video) ან ტექსტზე ან ვიზუალზე ორიენტირებული მულტიმედიას, როგორცაა:

- **ვიდეო:** რეპორტაჟი, განმარტებითი ვიდეო, ვიდეო ფიჩერი/ისტორია, ან სხვა ვიდეო ფორმატი;
- **მულტიმედია:** ტექსტური ამბავი ან/და მიმოხილვა მულტიმედიური ელემენტებით (ვიდეო, ფოტოგრაფია, მონაცემთა ვიზუალიზაცია, აუდიო, სხვა) ან **ვიზუალური თხრობა** (ვიდეო, ფოტო, მონაცემთა ვიზუალიზაცია, სხვა) დამხარე ტექსტური ინფორმაციით.

ციკლის ძირითადი მასალები გამოქვეყნდება მედიასაშუალების ან კონტენტ მწარმოებლის ტრადიციული ან/და ვებმედია არხებით, მოკლე ადაპტირებული ვერსიები კი - სოციალური მედიის არხებით. (მასალების მოკლე ვერსიები უნდა მოიცავდეს მულტიმედიურ ელემენტ(ებ)ს). სოციალურ მედიაპლატფორმებზე ორიენტირებულ კონტენტ მწარმოებლებს შეუძლიათ მასალები მხოლოდ სოციალური მედიის არხებით გაავრცელონ.

## მედიამასალების პერიოდულობა და რაოდენობა

მედიამასალების ციკლი უნდა შედგებოდეს მინიმუმ **ოთხი ძირითადი და ოთხი დამატებითი**, სოციალური მედიისთვის ადაპტირებული ან შექმნილი მასალისგან (სულ რვა მასალა). მასალების გამოქვეყნება იგეგმება ყოველთვიურად 2023 წლის ივლისიდან.

პროექტის ხანგრძლივობა **ექვსიდან რვა თვემდეა**.

განმცხადებელმა საპროექტო განაცხადში ზუსტად უნდა შეიტანოს: დაგეგმილი მედიამასალების რაოდენობა, თხრობის შერჩეული ფორმატები (ვიდეო ან/და მულტიმედია), მედიამასალების წარმოებისა და გავრცელების გრაფიკი.

## მასალების გავრცელება და პრომოცია

მედიამასალების გავრცელების და პრომოციის მიზნით, შერჩეული განმცხადებლები მასალებს ტრადიციული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და ვებმედიის და სოციალური მედიის არხებით გაავრცელებენ. გავრცელებისთვის გამოყენებული იქნება ონლაინ პრომოცია და ასევე, განმცხადებლის სურვილისამებრ, **ფიზიკური ღონისძიებები**.

შერჩეულ განმცხადებლებს შეუძლიათ დამატებითი დაფინანსების მიღება პროექტში წარმოებული მასალების წვდომისა და გავლენის გასაძლიერებლად. დამატებითი დაფინანსებით შესაძლებელია ცალკეული მედიამასალების გავრცელების ან უკეთ ტარგეტირების მიზნით შესაბამისი სერვისების შეძენა, მაგალითად, სოციალური მედიის რეკლამის ან აუდიტორიის მონაცემების.

## აუდიტორია, თემები და საკითხები

დამფინანსებელი მხარს დაუჭერს მედიამასალების ციკლის წარმოებას საერთოეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე საქართველოში. ადგილობრივი ამბავი, საკითხი თუ თემა აქტუალური უნდა იყოს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული რეგიონის აუდიტორიისთვის, არამედ რეგიონის ფარგლებს გარეთაც.

მედიამასალები უნდა იყოს ორიენტირებული აუდიტორიის ფართო სპექტრზე ან/და ჯგუფებზე, რომლებსაც ნაკლებად მიუწვდება ხელი მათთვის საინტერესო ინფორმაციაზე ან/და დეზინფორმაციის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს. ასეთ ჯგუფებს წარმოადგენენ: ახალგაზრდები, მცირე ქალაქების და სოფლების თემები, უმცირესობები, ასევე სხვა ჯგუფები, რომლებსაც არ გააჩნიათ ყოველდღიური წვდომა დამოუკიდებელი მედიასაშუალებების მიერ მომზადებულ სანდო, ფაქტებზე დაფუძნებულ მედიამასალებზე.

ნიშური აუდიტორიისთვის (მაგ. ახალგაზრდობისთვის) ან მის შესახებ მომზადებული მასალები უნდა წარმოაჩენდნენ ამ ჯგუფის წარმომადგენლებს და მათ მონათხრობს წარმოადგენდნენ.

განმცხადებლები თავად ირჩევენ პროექტის ფარგლებში წარმოებული მასალების თემებს და საკითხებს, რომლებიც აუდიტორიის საინფორმაციო საჭიროებებს უნდა ეხმიანებოდნენ. ამ მასალებში გაშუქდება აუდიტორიისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები შესაბამისი ფორმით და ნაჩვენები იქნება, თუ როგორ აისახება ეს საკითხები ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ასეთი თემებისა და საკითხების არასრული ჩამონათვალია:

- ომები, კონფლიქტები და უსაფრთხოება;
- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია;
- ადამიანის უფლებები;
- განათლება და დასაქმება;
- ჯანმრთელობა, ცხოვრების დონე და სოციალური კეთილდღეობა;
- ეკონომიკა;
- ახალგაზრდობის საკითხები;
- დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების გამოვლენა.

წარმოებული მასალები არ უნდა მოიცავდეს დეზინფორმაციულ ნარატივებს, გადაუმოწმებელ და არაფაქტობრივ ინფორმაციის, არამეცნიერულ განცხადებებს, რჩევებს და ცრურწმენებს. პროექტის ფარგლებში არ იგეგმება სარედაქციო სვეტების და მოსაზრებების, ან მოკლე ფორმატის მხატვრული ნაწარმოებების მხარდაჭერა.

მედია მასალები არ უნდა წარმოადგენდნენ და მოიცავდეს რაიმე სახის ფარულ ან „ნატივურ“ რეკლამას, დასპონსორებულ, ბარტერულ ან ფასიან კონტენტს.

**მინიმუმ ერთი გრანტი გადაეცემა განმცხადებელს, რომელიც მოამზადებს ახალგაზრდულ აუდიტორიაზე ორიენტირებულ მასალებს.**

## განაცხადი და შერჩევა

გაეცანით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სანამ მედიამასალების ციკლის დაგეგმვას შეუდგებით. განიხილება მხოლოდ იმ განმცხადებლების წინადადებები, რომლებიც აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გაითვალისწინეთ განაცხადის შეტანის ვადები. **ვადის გასვლის შემდეგ მიღებული განაცხადები არ განიხილება.**

თქვენი განაცხადი უნდა მოიცავდეს მედიამასალების ციკლის დეტალურ აღწერას განაცხადის ფორმაში (საპროექტო წინადადება) და თანმხლებ ბიუჯეტს (საბიუჯეტო წინადადება).

თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა ამ განაცხადის მოთხოვნებთან დაკავშირებით, მიმართეთ პროექტ EPIC- ის კოორდინატორს საქართველოში, მარიამ მენაბდეს, ელფოსტით - [mariam.menabde@yahoo.com](mailto:mariam.menabde@yahoo.com) .

## განაცხადის წარდგენა

განაცხადები უნდა გაიგზავნოს ელფოსტით მისამართზე [mariam.menabde@yahoo.com](mailto:mariam.menabde@yahoo.com) სათაურის ველში უნდა ჩაიწეროს „Response to RFA EPIC“.

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2023 წლის 13 ივნისი.

განაცხადის შემადგენელი დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს ელფოსტის დანართის სახით (email attachment). ელფოსტაში უნდა იყოს განაცხადის შემადგენელი დოკუმენტების ჩამონათვალი.

განაცხადის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას ან სამეწარმეო საიდუმლოს მკაფიოდ უნდა იყოს მონიშნული (ხაზგასმული ან დახრილი შრიფტით). ელფოსტაში უნდა განიმარტოს, თუ როგორ არის მონიშნული კონფიდენციალური ინფორმაცია.

განაცხადების წარდგენა შესაძლებელია ქართულ ან ინგლისურ ენებზე.

## განაცხადის შინაარსი

განაცხადი უნდა მოიცავდეს:

- საპროექტო წინადადებას სრულად შევსებული განაცხადის ფორმის სახით Word დოკუმენტის (docx) ფორმატში და
- ფინანსურ წინადადებას სრულად შევსებული ბიუჯეტის ფორმის სახით Excel დოკუმენტის (xlsx) ფორმატში.

განაცხადის ფორმა უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ, ასევე მედიამასალების ციკლის აღწერას, რომლის მომზადებას აპირებთ საგრანტო მხარდაჭერით.

საბიუჯეტო წინადადებაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მედიამასალების წარმოების ხარჯები, რომლის დაფინანსებაც გსურთ საგრანტო მხარდაჭერით. გთხოვთ გამოიყენოთ ბიუჯეტის ფორმა.

## განაცხადების მიღების ბოლო ვადა

განაცხადები წარდგენილი უნდა იყოს 2023 წლის 13 ივნისამდე.

ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადები არ განიხილება. განმცხადებლებს ორი (2) სამუშაო დღის განმავლობაში დაუდასტურდებათ დოკუმენტაციის მიღება. განმცხადებლის პასუხისმგებლობაა დაადგინოს, რომ ზემოთ მითითებულმა დამფინანსებელის წარმომადგენელმა მიიღო მისი განაცხადი.

## შესარჩევი კრიტერიუმები

განაცხადებს შეაფასებს დამოუკიდებელი მედია ექსპერტების და დამფინანსებლის თანამშრომლების ჯგუფი. ჯგუფი შეაფასებს საპროექტო წინადადებას (მედია მასალების ციკლის კონცეფციის ხარისხი, განმცხადებლის შესაძლებლობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა) და ფინანსურ წინადადებას (ბიუჯეტის მიზანშეწონილობა).

თითოეული განაცხადი შეფასდება შესაბამისი ქულებით. მაქსიმალური ქულაა - 20. განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა, პროფესიონალიზმი და გავლენა:** რამდენად იცავს განმცხადებელი ეთიკურ სარედაქციო პრინციპებს, იცავს ფაქტებზე დაფუძნებული, ეთიკური ჟურნალისტიკის პროფესიულ სტანდარტებს და ქმნის მნიშვნელოვან მედიამასალებს; საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა, მათ შორის, განმცხადებლის იურიდიული რეგისტრაცია (ორგანიზაცია ან ინდივიდუალური მეწარმე), მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება მედია ბაზარზე; ტრადიციული ან/და ონლაინ მედია არხები რეგულარულად განახლებადი მედიამასალებით - **მაქსიმუმ 5 ქულა**
- **მედია მასალების გავლენა და რელევანტურობა:** მედიამასალების ციკლის კონცეფციის ხარისხი და სიცხადე, მათ შორის პროექტის თემატურ სფეროებთან შესაბამისობა; მნიშვნელობა და რელევანტურობა სამიზნე აუდიტორიისათვის/ებისათვის (თემა, ფორმატი, არხი, თხრობის ხერხები) — **მაქსიმუმ 5 ქულა.**
- **განმცხადებლის უნარი უზრუნველყოს ხარისხის სასურველი დონე:** რამდენად ნათლად არის წარმოდგენილი პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელი ნაბიჯები/აქტივობები (საკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზება, ჟურნალისტური კონტენტის დაგეგმვა, წარმოება და პოპულარიზაცია, სამიზნე აუდიტორიასთან ინტერაქცია, სხვა საჭირო აქტივობები) - **მაქსიმუმ 5 ქულა**
- **ფინანსური წინადადების (ბიუჯეტის) პროექტთან შესაბამისობა და ხარჯების მიზანშეწონილობა** - **მაქსიმუმ 5 ქულა.**

გრანტები გადაეცემათ იმ განმცხადებლებს, რომელთა წინადადებები ყველაზე მეტად შეესაბამება ამ განაცხადების მოთხოვნას და პროექტ EPIC-ის მიზნებს, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.

## შეტყობინება გრანტის მინიჭების შესახებ და ხელშეკრულება

წარმატებულ განმცხადებელს/განმცხადებლებს შერჩევის შესახებ ეცნობება(თ) განაცხადის წარდგენის ბოლო ვადიდან თხუთმეტი (15) სამუშაო დღის განმავლობაში.

წარმატებულმა განმცხადებელმა/განმცხადებლებმა უნდა დაადასტუროს/დაადასტურონ განაცხადი და შერჩევაზე თანხმობა განაცხადონ შერჩევის შეტყობინებიდან ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შერჩევა გაუქმდება განმცხადებლის მიერ პასუხის გაუცემლობის გამო და გრანტი გადაეცემა მომდევნო კვალიფიცირებულ განმცხადებელს.

დამფინანსებელი დეტალურ განმარტებებს არ აწვდის წარუმატებელ განმცხადებლებს.

**განაცხადის შერჩევის შესახებ შეტყობინება არ უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულებად ან მოპოვებულ ქვეგრანტად.** მას შემდეგ რაც განმცხადებელი შეირჩევა, მასთან ქვეგრანტის საბოლოო ხელშეკრულება შეთანხმდება და გაფორმდება პირველადი დამფინანსებლის თანხმობის, შესაბამისი ნებართვების და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის წარმატებით შემოწმების შემთხვევაში.

## ვადები და ხანგძლივობა

საპროექტო წინადადებების წარდგენა შესაძლებელია განაცხადების მოთხოვნის გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში.

საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ, მედიაპარტნიორებს ეძლევათ ექვსიდან რვა თვემდე ვადა მედიამასალების ციკლის წარმოების, გავრცელების და პრომოციისთვის. ორი მასალის გამოქვეყნებას შორის ერთ თვეზე მეტი არ უნდა გავიდეს.

EPIC-ის მხარდაჭერით, მედიაპარტნიორებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ კონსულტაცია და მენტორინგი პროექტიც განხორციელების პერიოდში. მედიაპარტნიორებისთვის პროექტის მონაწილე ქვეყნებიდან მოეწყობა სამი ონლაინ და ერთი ფიზიკური შეხვედრა (un-conference).

## ანგარიშგება

ნარატიული და ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილ უნდა იყოს ერთხელ, საგრანტო პერიოდის დასასრულს, დამფინანსებელთან შეთანხმების საფუძველზე. ამასთან, მედიაპარტნიორმა ყოველი კვარტლის ბოლოს უნდა წარმოადგინოს აუდიტორიის წვდომისა და ჩართულობის მონაცემები. საბოლოო ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს ამ მონაცემებს.

## საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ამ განაცხადების მოთხოვნით გათვალისწინებული ქვეგრანტის მისაღებად განმცხადებლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- მედიასაშუალებების შემთხვევაში - მედიასაშუალებების გამომცემელი ორგანიზაცია იურიდიულად არის რეგისტრირებული საქართველოში;



დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და კონტენტ მწარმოებლების შემთხვევაში - არის იურიდიულად რეგისტრირებული სუბიექტი (მაგ. ინდივიდუალური მეწარმე).

- განმცხადებელი ერთ წელზე მეტია რეგულარულად ქმნის მედიაკონტენტს ქართულ მედიაბაზარზე;
- განმცხადებელი რეგულარულად აქვეყნებს მედიამასალებს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე საერთოეროვნული, ადგილობრივი ან რეგიონული აუდიტორიისათვის;
- განმცხადებელს აქვს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა და იცავს ჟურნალისტის პროფესიულ სტანდარტებს და ეთიკის პრინციპებს;
- განმცხადებელს გააჩნია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების ზუსტი, მიუკერძოებელი, პლურალისტური გაშუქების გამოცდილება;
- განმცხადებელი საჯაროდ წარადგენს თავს დამოუკიდებელ ორგანიზაციად ან ჟურნალისტად;
- მედიასაშუალების გამომცემ ორგანიზაციას არ ფლობენ ან მართავენ საჯარო დაწესებულებები, ადგილობრივი ან ეროვნული მთავრობები, პოლიტიკური პარტიები, საჯარო თანამდებობის პირები ან პოლიტიკურ ორგანიზაციებში თანამდებობის მქონე პირები ან მათი ახლო ნათესავები;
- ყოფილი მედიაპარტნიორების შემთხვევაში - დამფინანსებლისგან მიღებული ქვეგრანტის ფარგლებში შესრულებული სამუშაო და ანგარიშგება დადებითად არის შეფასებული.

## დამატებითი ინფორმაცია

### არაპირდაპირი ხარჯები

შერჩეული ქვეგრანტორები უფლებამოსილნი არიან აუნაზღაურდეთ არაპირდაპირი ხარჯები, თუ:

1. მათ გააჩნიათ არაპირდაპირი ხარჯების განაკვეთის შეთანხმებული ხელშეკრულება შესაბამისი ფედერალური სააგენტოსგან, ან
2. ისინი მოითხოვენ არაპირდაპირი ხარჯების მინიმალურ (de minimis) განაკვეთს 10%-ის ოდენობით, რომელიც გავრცელდება მოდიფიცირებულ მთლიან პირდაპირ ხარჯებზე (Modified Total Direct Costs). MTDC განისაზღვრება, როგორც ყველა პირდაპირი ხელფასი და გასამრჯელო, დამატებითი შეღავათები, მასალები და მარაგები, მომსახურება, თანამშრომლებისა და კონსულტანტების მოგზაურობა და გრანტის ფარგლებში გაცემული თითოეული ქვეგრანტის ან ქვეკონტრაქტის პირველ 25,000 აშშ დოლარამდე ოდენობა (მიუხედავად გრანტის ფარგლებში ქვეგრანტების ან ქვეკონტრაქტების შესრულების პერიოდისა). MTDC არ მოიცავს ადჭურვილობას\*, კაპიტალურ ხარჯებს\*, პაციენტის მოვლის ხარჯებს, ქირის ხარჯებს, სწავლის საფასურის დაფარვას, სტიპენდიებს და ფელოუშიფებს, მონაწილეთა მხარდაჭერის

ხარჯებს\* და თითოეული ქვეგრანტის ან ქვეკონტრაქტის ნაწილს, რომელიც აღემატება 25,000 აშშ დოლარს.

\*ამ ტერმინების ზუსტი განმარტებები შეგიძლიათ იხილოთ [ამ ბმულზე](#).

## ხარჯების პრინციპები

შემოთავაზებული ბიუჯეტები განიხილება და შერჩეული ქვეგრანტორის ხარჯები დაექვემდებარება შესაბამის ხარჯების პრინციპებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს გონივრულობა, სათანადო განაწილება და მისაღებობა:

1. არაკომერციული ორგანიზაციები: [2CFR200](#) ქვესექცია E, ხარჯების პრინციპები
2. კომერციული ორგანიზაციები: [48CFR31.2 Federal Acquisition Regulations](#) (FAR) და [48CFR731.2](#)

## ქვეგრანტის მართვა

ამ განაცხადების მოთხოვნის (RFA) შედეგად გაცემულ ქვეგრანტებზე, შემდეგი რეგულაციები და დებულებები გავრცელდება:

- [2CFR200](#) და [2CFR600](#) ერთიანი ადმინისტრაციული მოთხოვნები, ღირებულების პრინციპები და აუდიტის მოთხოვნები ფედერალური გრანტებისთვის
- [US Department of State Standard Terms and Conditions](#)

## პროექტის მიზანი და აღწერა

პროექტი „დამოუკიდებელი კონტენტის წარმოების გაფართოება (EPIC)“ მიზნად ისახავს ძლიერი და დამოუკიდებელი, მანიპულირების, იზოლირების და კონტროლის მცდელობების მიმართ რეზისტენტული მედიასექტორის ხელშეწყობას და გაძლიერებას.

პროექტის აქტივობები დაფინანსებულია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის (DOS) გრანტით.

დამფინანსებლის ხელმძღვანელობითა და „მედია ინიციატივების ცენტრთან“ (სომხეთი), „Instytut Reportażu-სთან“ (პოლონეთი), „ინტერნიუს უკრაინასთან“ (უკრაინა) და „დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ცენტრთან“ (რუმინეთი) პარტნიორობით განხორციელებული პროექტი „დამოუკიდებელი კონტენტის წარმოების გაფართოება (EPIC)“ მიზნად ისახავს დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერას აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში სხვადასხვა ტიპის აქტივობებით. პროექტი მიზნად ისახავს:

- მაღალი ხარისხის, სანდო და მნიშვნელოვანი მედიამასალების წარმოებას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და სხვადასხვა პლატფორმის მეშვეობით მათ გავრცელებას, რაც დაუპირირპირდება დეზინფორმაციას.

- საერთაშორისო ჟურნალისტური გაშუქების გაუმჯობესებას და ცალკეული ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი ამბების კონტექსტუალიზაციას ფართო რეგიონული პერსპექტივიდან; პროექტის მონაწილე ქვეყნების მედიასაშუალებების და აუდიტორიების უფრო მჭიდროდ დაკავშირებას; და
- ქვეყნებში და მთლიანად რეგიონში ჟურნალისტური კავშირების/ქსელის გაძლიერებას.

პროექტ EPIC-ის მედიაპარტნიორებს ექნებათ წვდომა თემზე ორიენტირებულ კვლევებზე, სარედაქციო პოლიტიკაზე და კონტენტის წარმოების გეგმებზე, თავიანთ ქვეყნებში და მთლიანად რეგიონში, რათა შეძლონ ხარისხიანი და დროული ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის უკრაინის ომთან დაკავშირებით და ასევე მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებით (ქალები, ახალგაზრდები, გენდერული ან რელიგიური დისკრიმინაციის ქვეშ მყოფი ადამიანები).

### თანდართული დოკუმენტები

1. ქვეგრანტის განაცხადის ფორმა
2. ქვეგრანტის დეტალური ბიუჯეტის ფორმა

RFA-ს დასასრული